<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

–-სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერისთვის სიცოცხლის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერს მიენიჭოს სიცოცხლის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=482750 Y=4617809
X=482741 Y=4617805
სიცოცხლის სკვერი
X=482760 Y=4617790
X=482750 Y=4617785
1:400

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01192272911
თარიღი: 15/08/2019
პინი: 3828

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 14.08.2019 წლის #03-031922666 (14.08.2019წ. #14-01192262546-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩისთვის მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩას მიენიჭოს მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=477600 Y=4619464
ზაზა და საულ
კახიანების ქ.
X=477634 Y=4619190
1:3,000

04.04.19. 16-031909488-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
CHUGHURETI DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **33-01190941677**
თარიღი. **04/04/2019**
პინი: **0208**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ. document.municipal.gov.ge

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში შემოვიდა ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“-ს წერილი (რეგ. #10/01190843595-33, 25.03.2019 წ.), უზნაძის ქ. #68-ში მდებარე სკვერისთვის (საკადასტრო კოდი #01.13.08.010.047) ომში მოკლული ქალების ხსოვნის უკვდავსაყოფად შესაბამისი სახელის მინიჭების თაობაზე.

დანართის სახით გიგზავნით აღნიშნულ წერილს, ამასთან რაიონის გამგეობასა და ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“-ს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ინიციატივა და განიხილოთ საკითხები, რომლებიც შეეხება სკვერისთვის სახელწოდების - „სიცოცხლის ბაღი“ მინიჭების და ომში მოკლული ქალების მემორიალის სკვერში განთავსებას.

დანართი: გამგეობაში შემოსული წერილის ასლი 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ ჩიკვილაძე

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0102, აღმაშენებლის გამზ. N65, (+995 32) 237 48 74
#65, Aghmashenebeli Avenue, Tbilisi, 0102, Georgia, (+995 32) 237 48 74

N 02-19|309 25.03 2019წ.

ჩუღურეთის რაიონის გამგებელს
ბატონ ზურაბ ჩიკვილაძეს

ბატონო ზურაბ,

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს შორის 2019 წლის 5 მარტს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე სოციალური კამპანიის ფარგლებში განსაზღვრულია ქ. თბილისში, უზნაძის ქ. N68-ში მდებარე სკვერისთვის (საკადასტრო კოდი N01.13.08.010.047) ომში მოკლული ქალების ხსოვნის უკვდავყოფასთან დაკავშირებით შესაბამისი სახელის მინიჭება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ქალაქ თბილისის საკრებულოსთან, რათა სკვერს მიენიჭოს „სიცოცხლის ბაღის" სახელწოდება და ასევე, სკვერში განთავსდეს ომში მოკლული ქალების მემორიალი.

მარინე იოსელიანი

რექტორი

www.gipa.ge
info@gipa.ge

ბროსეს ქ.2, 0108 თბილისი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი 204429341

032 249 75 00
032 249 74 75

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

სერიალის სოფერი: 03-03192116/
თარიღი: 30/07/2019
პინი: 4616

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩისთვის ზაზა და საულ კახიანების სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ არჩილ გელოვანის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

თიხათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

ნერილის სოფერი: 67-01192252999
თარიღი: 13/08/2019
პინი: 7920

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

15-031922610-03
14.08.19.

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 30.07.2019 წლის # 03-031921167 (30.07.2019წ. #14-01192112366-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი


1:3,000
X=477600 Y=4619464
X=477634 Y=4619190

საულ კახიანი

(1922-1992)

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

დაიბადა 1922 წელს ქ.თბილისში. 1940 წელს ჩააბარა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1944 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ორდინატორად. 1946 წელს სსი-ს ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასპირანტია. 1950 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 50-იან წლებში მუშაობა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე. 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამავე წელს ირჩევენ კათედრის პროფესორად და ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიული ფაკულტეტის დეკანად. 1972 წელს ირჩევენ ამავე ინსტიტუტის პრორექტორად. 1992 წლამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტოპოგრაფიული და ოპერაციული ქირურგიის კათედრას. შესრულებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 34 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. 1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება და საქართველოს სახემწიფო პრემიის ლაურეატობა. დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლებით.

გარდაიცვალა 1992 წელს.

მიენიჭა. ორივეჯერ იგი იქნა რეაბილიტირებული, თუმცა პირველ შემთხვევაში, იძულებული იყო მოსკოვში განეგრძო მოღვაწეობა1939–1940 წლებში, საბჭოთა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ანტიკური ლიტერატურის განყოფილებაში. 1960 წელს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებისთანავე ყაუხჩიშვილი სათავეში ჩაუდგა ამ ინსტიტუტის ბიზანტიოლოგიის განყოფილებას და მას სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. 1969 წელს აღადგინეს და აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ყაუხჩიშვილის უამრავ გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იოანე პეტრიწის შრომათა მეცნიერულ პუბლიკაციას ორ ტომად 1937/1940 9 IIIII. ტომი შ. ნუცუბიძესთან ერთადU; უაღრესი მნიშვნელობა აქვს მის გამოკვლევებს „ბალავარიანიან“ დაკავშირებით, აგრეთვე კეტრიწონის მოწასტრის ისტორიის შესწავლაში. ყაუხჩიშვილი ავტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელოსი ბიზანტიის ისტორიაშიЖ „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“ 9თბილისი 19480.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.[4] მის გვერდით დაკრძალულია მისი მეუღლე — თამარ ნიკოლოზის ასული იშხნელი 91896-19750.

1979 წელს გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც მოთხრობილია სიმონ ყაუხჩიშვილის მოღვაწეობის შესახებ.[5]



ზაზა კახიანი

(1927-2000)

ქირურგი, მედიცინის მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე

დაიბადა 1927 წელს ქ. თბილისში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1954 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1960 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრაზე. 1967 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წელს დაინიშნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრის გამგედ. შესრულებული აქვს 300 მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 36 მონოგრაფია, რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო, არის 5 გამოგონების და 4 რაციონალიზატორული გამოგონების ავტორი. 1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, მოგვიანებით კი ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია. 18 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის გრ. მუხაძის სახ. ქირურგთა საზოგადოებას. ასევე იყო საქართველოს სამედიცინო–სამეცნიერო საზოგადოებათა პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1998 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი.

გარდაიცვალა 2000 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.